ახალი ხარაგაული

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გაზეთი • 281 (8) 23 მარტი, 2015 წ

„მაქვს ამბიცია ჩემდამი დაქვემდებარებული სოფელი იყოს პირველი და საუკეთესო„

უკვე რამდენიმე წელია, საქართველოს მასშტაბით, „სოფლის მხარდამჭერი პროგრამა“ ხორციელდება. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, შეხვედრები ყოველწლიურად მიმდინარეობს. პროგრამის ძირითადი მიზანი, სოფლის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარება, ადგილობრივი ინსფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია და ზოგადად სოფლის გაძლიერებაა. მიმდინარე წელს, აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად ხარაგაულის მუნიციპალიტეტისთვის 767, 473 ლარია გამოყოფილი. შეხვედრები მოსახლეობასთან ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარდება. ისინი თავად გადაწყვეტენ რა არის პრიორიტეტი სოფლისთვის, რათა გამოყოფილ თანხას მიზნობრიობა მიეცეს. მიმდინარე წელს პროგრამის ამოქმედებამ სტარტი ბაზალეთიდან აიღო. ამ უკანასკნელის ადმინისტრაციულ ერთეულში თანხები შემდეგნაირად გადანაწილდა. ბაზალეთი - 7 000 ლარი, ქროლი - 4000, წიფი - 4 000 და ღარიხევი - 5000 ლარი. ოთხი სოფლის მოსახლეობას, გამგებელი კობა ლურსმანაშვილი, დეპუტატი ვარლამ ჭიპაშვილი, ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე, ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი და წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილების უფროსი გია ჭიპაშვილი შეხვდნენ. ბატონმა კობამ მოსახლეობას, გასული ორი წლის განმავლობაში გაწეული სამუშაოების ანგარიში წარუდგინა და სამომავლო გეგმებზეც ესაუბრა. „უკვე ორი წელია რაც ჩემი ხალხის და ჩემი ქვეყნის სამ-

გაგრძელება ▶ 2 გვ.

„კამათში იბადება ჭეშმარიტება„

16 მარტს გამართულ ბიუროს სხდომაზე, დეპუტატებმა საბიუჯეტო ცვლილების შესახებ იმსჯელეს. საკითხი მათ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვლადიმერ გელაშვილმა გააცნო. მისი ინფორმაციით ბიუჯეტში 200 ათასი ლარი გამოყოფილი იყო გზების რეაბილიტაციისათვის, ამ თანხას ვამცირებთ 40 ათასი ლარით და გადაგვაქვს ხიდ-ბოგირების შესაკეთებლად. მაქათუბანში ამისთვის დაიხარჯება 13 ათასი ლარი, საქარიაში - 17 ათასი და ბაზალეთში - 10 ათასი ლარი. გარდა ამისა, ღორეშის ადმინისტრაციულ ცენტრში დენის დაერთებისთვის ენერგოპროჯორჯიას უნდა გამოეყოს 5800 ლარი. ამის შემდეგ 2015 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი 7 მილიონ 936 ათას400 ლარი გაიზრდება 5800 ლარით და გახდება 7 მილიონ 942 200 ლარი.

წარმოდგენილ საბიუჯეტო ცვლილებას გამოეხმაურა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე თორნიკე ავალიშვილი: „ხიდ ბოგირების შეკეთებას არ ვეწინააღმდეგები, პირიქით, ძალიან კარგია რომ კეთდება, მაგრამ თქვენ ამბობთ გზების რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი ისედაც სასაცილო თანხა კიდევ უნდა შეამციროთ. ეს როგორ გავიგოთ, რა ქნას მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობამ? ფაქტიურად გზის გარეშე რომ არიან. ყველა ტერიტორიული ერთეულიდან შეიძლება გამოიძებნოს წყარო საიდანაც შეიძლება გზების მოსახრეში მასალა ავიღოთ და უბრალოდ მოვხრეშოთ მაინც ყველაზე მეტად დაზიანებული გზები. კეთილი ინებეთ შეამცირეთ ადმინისტრაციული ხარჯები და თანხა გზების რეაბილიტაციაზე გადაამისამართეთ. ყველა სხდომაზე ერთიდა იგივეს ამბობთ ვამცირებთ ადმინისტრაციულ ხარჯებს, რეალურად გაკეთებულს ვერაფერს ვხედავ, მარტო კაბინეტებს იწყობთ სამსახურებში.

თორნიკე ავალიშვილის ამ განცხადებას საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მანანა ბარბაქაძე გამოეხმაურა და აღნიშნა. „როცა ასეთ განცხადებას აკეთებთ, ვფიქრობ ჯერ კარგად უნდა ფლობდეთ ინფორმაციას. თუ კეთილმოწყობის და დასუფთავების სამსახურების რემონტზე საუბრობთ, გეტყვით, რომ კეთილმოწყობის სამსახური საკუთარი ხარჯებით აკეთებს რემონტს. სირცხვილია, ელემენტარული კომფორტისთვის 3 ლარიან შპალერზე რომ გაქვთ საუბარი.

ე.წ „კაბინეტების მოწყობაზე“ თავისი პოზიცია გამოხატა საკრებულოს თავმჯდომარემ ინგა მაღრაძემ. „კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურებში რემონტების მიმდინარეობის შესახებ, კომენტარის გაკეთებისგან, ვფიქრობ, ჩვენი თავი უნდა შევიკავოთ. ვთხოვოთ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს გვითხრას რა თანხებია ამისთვის გამოყოფილი. აღნიშნული კომისია ვიცი რომ თვალყურს ადევნებს ამ პროცესებს. ის პრობლემები რაც აღმოსაფხვრელი იყო ამ სამსახურებში, მათ მინიმალური დანახარჯებით მოაგვარეს და ჩემი აზრით, ეს მისასალმებელია.

ვლადიმერ (ტატო) თავზარაშვილმა განმარტა. „რა რემონტებზეა საუბარი, ელემენტალური იატაკი არ ქონდა დასუფთავების სამსხურს, ცენტრალურ ქუჩაზე მდებარეობს და ჩვენი სირცხვილია აქამდე რომ ვერ მივაქციეთ სათანადო ყურადღება. თუ არ ვცდები სულ რაღაც 10 ათას ლარს ხარჯავენ რემონტისთვის, ეს გახდა სალაპარაკო თემა? მითუმეტეს, როცა საკუთარი ხარჯებით, ძალებით, ფიზიკური შრომით აკეთებენ ამ ყოველივეს“.

გაგრძელება ▶ 2 გვ.

იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატებს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში გააცნო

16 მარტს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა გაიმართა.

სხდომაზე, 2014 და მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, მიხეილ გელაშვილმა წარმოადგინა.

„კომისია დღეის მდგომარეობით 7 წევრისგან შედგება. საანგარიშო პერიოდში კომისიამ 7 მორიგი და 17 რიგგარეშე სხდომა ჩაატარა. მოახდინა 26 საკრებულოს სხდომის კენჭისყრის შედეგების შეჯამება და შესაბამისი ოქმების შედგენა. მოამზადა საკრებულოს სამართლებრივი აქტების კანონშესაბამისობაზე 129 დასკვნა, შეიმუშავა 4 წინადადება გამგეობაში წარსადგენად. რეაგირება მოახდინა კომისიაზე დაწერილ 15 წერილზე. შეიმუშავა სამი რეკომენდაცია. ქვორუმის არარსებობის გამო არ ჩატარდა 2 სხდომა. საკრებულოში წარადგინა 7 ცნობა საკრებულოს ფრაქციაში წევრის დამატებაზე ასევე კომისიებში ცვლილებაზე. მომაზადა ერთი დადგენილების პროექტი.

„საკითხების განხილვა ძალიან მცირე დროში კომისიების რიგგარეშე სხდომებზე გვიწევდა. ეს კი საკრებულოს ხდომების ინტენსივობით იყო გამოწვეული. კომისიის სახელით, გპირდებით მომავალში უფრო აქტიურად ვიმუშავებთ იმ ფუნქციების და მოვალეობების შესასრულებლად რაც დაკისრებული გვაქვს საქართველოს ორგანული კანონით და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის რეგლამენტით.„

ანგარიშის მოსმენის შემდეგ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ვარლამ ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ იგი ერთ-ერთი გამორჩეული კომისიაა ჩვენს საკრებულოში. მეც ამ კომისიის წევრი ვარ და დავეთანხმები მიხეილს, რომ დასკვნების გაკეთება მართლაც დაჩქარებულ რეჟიმში გვიწევდა. მაგრამ მთავარი ისაა, რომ შესაძლებლობის ფარგლებში, აქტიურად და ნაყოფიერად ვმუშაობთ.

თეა ბერიძე

სკოლის გამოსაშვებ გამოცდაზე რეგისტრაცია დაიწყო

სკოლის გამოსაშვებ გამოცდაზე რეგისტრაცია 20 მარტიდან დაიწყო და 10 აპრილის ჩათვლით გაგრძელდება. ამის შესახებ განცხადება ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, დავით კიკნაძემ 18 მარტს დირექტორებთან გამართულ თათბირზე გააკეთა. მისივე ინფორმაციით, სკოლის გამოსაშვებ გამოცდაზე მოსწავლე რეგისტრირდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში; ექსტერნი იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელშიც ჩააბარა ექსტერნის გამოცდები; პირი, რომელმაც სრული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის დაძლევის მიუხედავად შესაბამის წელს ვერ ჩააბარა გამოცდები, რეგისტრირდება იმ ზოგადსაგანმანათლეობლო დაწესებულებაში, რომელშიც დაძლია სრული ზოგადი განათლების საშუალო საფეხური. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება სკოლის გამოსაშვებ გამოცდაზე რეგისტრაციას უზრუნველყოფს ელექტრონული ფორმით. რეგისტრაციის დასრულების შემდეგ რაიმე ცვლილების შეტანა დაუშვებელია.

,,მაქვს ამბიცია ჩემდამი დაქვემდებარებული სოფელი იყოს პირველი და საუკეთესო,,

◀ 1 გვ.

სახურში ვარ. მთელი ამ ხნის განმავლობაში რისი გაკეთება შევძელით და მომავალშიც რა გვაქვს დაგეგმილი თქვენთვის კარგადაა ცნობილი. ადვილი არაა მოსახლეობის ფართო მასების მოწონება დაიმსახურო. ამას დიდი შრომა და ბევრი უძილო ღამეები ჭირდება. ჩემს გუნდთან ერთად ბევრი საჭირო პროექტი განვახორციელე, გამოყოფილი თანხები მაქსიმალურად ავითვისეთ, რის გამოც გასულ კვირაში პრემიერთან შეხვედრის დროს მადლობაც დავიმსახურეთ. ხარაგაული მოწოდების სიმაღლეზე დგას. განსხვავებული აზრის ადამიანები ყოველთვის იყვნენ. ყველა კმაყოფილი ვერ იქნება, მაგრამ იმის არ დანახვა რაც ხარაგაულში გაკეთდა და კეთდება, თვალებში ნაცრის შეყრაა. დღეს რომ ხელისუფლებისგან არცერთი მედია საშუალება არ კონტროლდება ყველამ კარგად ვიცით. სწორედ ამითაა გამოწვეული რომ მოსახლეობამდე ვერ მიდის ამომწურავი ინფორმაცია რა კეთდება ქვეყანაში და რა პოზიტიური ძვრები შეინიშნება. ამ კუთხით ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ მუნიციპალიტეტის პრესსამსახურის საშუალებით გეგმიურად მოგაწოდოთ გაწეული სამუშაოების შესახებ. მინდა მადლობა გადაგიხადოთ იმ ერთიანობისთის, სულისკვეთებისთვის, გვერდში დგომისთვის რასაც ჩვენს მიმართ იჩენთ. ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა და მათ შორის თქვენ, ხართ ის ძირითადი ფუნდამეტი და საძირკველი, რომელზეც დგას ჩვენი სამშობლო. ყველამ თავის საქმე უნდა აკეთოს და ყველაფერი კარგად იქნება“.

რაც შეეხება ბაზალეთისთვის გამოყოფილ თანხას, თუ რისთვის დაიხარჯება იგი, ერთად ვიმსჯელოთ და აზრთა ურთიერთშერწყმით გამოვყოთ ის პრიორიტეტი რაც თქვენთვის იქნება უკეთესი.„

მოსახლეობას სიტყვით მიმართა დეპუტატმა ვარლამ ჭიპაშვილმა: „დიდი მადლობა მობრძანებისთვის თანასოფლელებო. უბრალო დამთხვევა არაა, „სოფლის მხარდამჭერი პროგრამის“ განხორციელება ბაზალეთიდან რომ დაიწყო. გპირდებით ის პრობლემები, რომლებსაც აღნიშნული პროგრამა ვერ გაწვდება, პირადად ჩემს მიერ არაერთხელ იქნება დაყენებული ადგილობრივი თვითმართველობის წინაშე და იქამდე არ გავჩერდები, ვიდრე მუნიციპალიტეტში ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეული თითით საჩვენებელი არ იქნება. გასულ წელს, არ დარჩენილა არცერთი ძირეული პრობლემა, რომლის გადაჭრისთვისაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში რესურსი არსებობდა და მე უყურადღებოდ დამეტოვებინოს. გპირდებით ასე იქნება მომავალშიც. დიახ, სწორედაც რომ მაქვს ამბიცია ჩემდამი დაქვემდებარებული სოფელი იყოს პირველი და საუკეთესო„

მოსახლეობასთან შეთანხმებით გადაწყდა, ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულისთვის გამოყოფილი თანხები მთლიანად მოხმარდეს ბაზალეთის ცენტრალური გზის გარე განათების ქსელის მოწესრიგებას.

შეხვედრაზე მოსახლეობა აშკარად და ღიად გამოხატავდა მადლიერებას აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ. მათ შორის ყველაზე გულისხმიერი, წრფელი და გულიდან ამოხეთქილი სიტყვები დამამახსოვრდა. ეს იყო ქროლის მაცხოვრებელი ნანი მაქაძე: „პირადად მინდა მანდლობა გადავუხადო ვარლამ ჭიპაშვილს, კვირა არ გავა, არ შეგვხვდეს, არ გვკითხოს რა გვინდა, რა გვიჭირს, როგორ ვცხოვრობთ. გასულ წლებში სამი ოპერაცია ისე გავიკეთე ერთი კაპიკი არავის მოუცია, ყველაფერი გავყიდე თუ რამე გამაჩნდა. როგორ არ ვთქვა, თქვენი დახმარებით, გამგებლის გვერდში დგომით და საყოველთაო დაზღვევით მეოთხე ოპერაცია სრულიად უფასოდ გავიკეთე. დიდი მადლობა ამისთვის, გლოცავთ დღე და ღამე“.

ქალბატონ ნანის ამ ეტაპზე სოციალური დახმარება აქვს შეჩერებული, ბატონი კობა მას დაჰპირდა, რომ მისი კომპეტენციის ფარგლებში აუცილებლად გაუწევს შუამდგომლობას ხარაგაულის სოციალური მომსახურების სააგენტოსთან, რათა სამართლიანობის ფარგლებში მოხდეს ხელახალი გადამოწმება.

თეა ბერიძე

სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტს 767,473 ლარი გამოეყო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი მალხაზ ფხალაძე, ინფორმაციით სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში ხარაგაულს 767,473 ლარი გამოეყო. აქედან 610,000 ლარი სოფლებისათვის მიმართა. დარჩენილი 157,473 ლარით, მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით განხორციელდება ერთ-ერთი მასშტაბური პროექტი, რომლითაც ყველა სოფელი ისარგებლებს.

თანხები ტერიტორიულ ერთეულებში შემდეგნაირად გადანაწლდა.

პატარა ხარაგაული - 20 000 ლარი.

ბაზალეთი - 7 000
ღარიხევი - 5 000
ქროლი - 4 000
წიფი - 4 000
ბორითი - 14 000
საქასრია - 10 000
მაათუბანი - 10 000
უბისა - 10 000
ერეთა - 4 000
ვაშლევი - 4 000
კვესრევი - 4 000
ამაშუკეთი - 4 000
ვარძია - 23 000
ვახანი - 12 000
სერბაისი - 6 000
ზედუბანი - 5 000
ზვარე - 11 000
ჩრდილი - 12 000
ნუნისი - 4 000
კიხი - 20 000
ბორი - 8 000
საქარიქედი - 10 000
კიცხის იგორეთი - 4 000
თეთრაწყარო - 10 000
ლეღვანი - 15 000
მარელისი - 11 000
დიდვაკე - 5 000
პატარა სახვლარი - 4 000
ლაშე - 10 000
ლაშის იგორეთი - 4 000
უჩამეთი - 5 000
ღვერკი - 6 000
ხემაღალი - 5 000
მოლითი - 7 000
დეისი - 6 000
ბეჟათუბანი - 4 000
ჭარტალი - 4000
ნებოძირი - 8 000
ქვები - 7 000
ბაბი - 4 000
ანიულა - 4 000
ნადაბური - 10 000
გოლისი - 4 000
სარგვეში - 8 000
ხორითი - 5 000
საბე - 5 000
მიროწმინდა - 4 000
საღანძილე - 8 000
ზარანი - 5 000
ჯაფაროული - 6 000
სხლითი - 4 000
ჩხერი - 7 000
ვანი - 5 000
ფარცხნალი - 10 000
ახალსოფელი - 6 000
ისლარი - 6 000
ღუდუმექედი - 4 000
ხიდარი - 22 000
წყალაფორეთი - 7 000
ხონი - 4 000
ლახუნდარა - 13 000
პატარა ვარძია - 4 000
ჩალხაეთი - 4 000
წიფა - 7 000
გოლათუბანი - 12 000
გუდათუბანი - 4 000
ფონა - 4 000
ღორეშა - 20 000
ხუნევი - 13 000
გედსამანია - 10 000
ვერტყვიჭალა - 10 000
ბჟინევი - 4 000
ხევი - 7 000
წაქვა - 8 000
გრიგალათი - 10 000
ციცქიური - 6 000.

საგნობრივი გამოცდებისთვის პედაგოგთა რეგისტრაცია დაიწყო

საგნობრივი გამოცდებისთვის პედაგოგთა რეგისტრაცია 10 მარტს დაიწყო და 25 მარტის ჩათვლით იწარმოებს. 2015 წელს საგნობრივ გამოცდებს მხოლოდ მოქმედი მასწავლებლები ჩააბარებენ და რეგისტრაცია უფასოა. მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის მიხედვით, მოქმედი პედაგოგისათვის სავალდებულო ხდება საგნობრივი გამოცდის ჩაბარება (ამ გამოცდის ჩაბარება არ მოეთხოვებათ სერტიფიცირებულ პედაგოგებს). წინა წლებში რეგისტრაცია ხდებოდა ორნაირად: ელექტრონული ფორმით და რესურსცენტრში დოკუმენტაციის წარდგენით, ამ ეტაპზე რესურსცენტრში რეგისტრაცია საჭირო აღარ არის მასწავლებლები რეგისტრირდებიან მხოლოდ ელექტრონულად. რეგისტრაცია უფასოა და დარეგისტრირების უფლება აქვთ მხოლოდ მოქმედ მასწავლებლებს. რეგისტრაციის ბოლო ვადაა 25 მარტი. დარეგისტრირება ხდება მხოლოდ საგნობრივ გამოცდაზე.

საგნის გამოცდა ტარდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა (I-VI კლასები); მათემატიკა (I-VI კლასები); ბუნებისმეტყველება (I-VI კლასები); ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება (I-IV კლასები); ქართული ენა და ლიტერატურა (VII-XII კლასები); ქართული, როგორც მეორე ენა (I-XII კლასები); მათემატიკა (VII-XII კლასები); ისტორია (VII-XII კლასები); გეოგრაფია (VII-XI კლასები); სამოქალაქო განათლება. ფიზიკა (VII-XII კლასები); ქიმია (VII-XII კლასები); ბიოლოგია (VII-XII კლასები). ინგლისური; გერმანული; ფრანგული; რუსული. ესთეტიკური აღზრდის საგნები: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება; ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები

,,კამათში იბადება ჭეშმარიტება,,

◀ 1 გვ.

საბიუჯეტო ცვლილებაში ხიდ ბოგირებისთვის დამატებითი თანხების გამოყოფაზე თავის პოზიცია დააფიქსირა იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ მიხეილ გელაშვილმა. „იქნებ ნადაბურსაც მივაქციოთ ამ მხრივ ყურადღება. იქ 2 უბანია, ერთში 20 ოჯახი ცხოვრობს, მეორეში – 10. სოფელში, მოსახლეობამდე მისასვლელად, მხოლოდ ბეწვის ხიდია, არც სამანქანო დ არც საურმო გზა იქ არ მიდის. ძალიან უჭირთ სახლში პროდუქტის მიტანა. საქმე იმაშია, რომ ამ ხიდს არავინ ამოწმებს, როდემდე გაუძლებს დატვირთვას არავინ იცის. შეიძლება ერთი დღე უბედური შემთხვევის მომსწრე გავხდეთ. ამასაც იქნებ მივაქციოთ ყურადღება.

მანანა ბარბაქაძე: - მიხეილ, როცა ჩემდამი დაქვემდებარებულ ადმინსტრაციულ ერთეულში მქონდა იგივე პრობლემა, თავად წავედი მოვიყვანე არქიტექტორი, ავაზომინე და იანვრის თვეში პროექტი უკვე მზად მქონდა. თქვენც მოახდინეთ რეაგირება, გააქტიურდით უფრო მეტად, გააკეთეთ პროექტი, მოიტანეთ და უარს არავინ გეტყვით“.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ვარლამ ჭიპაშვილმა: - მინდა გამოვეხმაურო წარმოდგენილ საბიუჯეტო ცვლილებას. რა თქმა უნდა ჩვენი ვალდებულებაა განვახორციელოთ ინფრასტრუქტრული პროექტები, მაგრამ ამ ეტაპზე მივესალმები პრიორიტეტად ხიდ–ბოგირების მოწესიგების საკითხის წამოწევას. ნამდვილად ვიცი რომ მაქათუბანშიც საქასრიაშიც, ბაზალეთშიც ეს პრობლემები მწვავედ დგას და განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს.

საუბარში ჩაერთო ინგა მაღრაძე - ბატონო ვარლამ, ძალიან გთხოვთ სწორი ფორმულირება გააკეთეთ, პრიორიტეტები მარტო საქასრია, მაქათუბანი და ბაზალეთი არ იყო. ბევრ სხვაგანაც დგას ეს პრობლემა. პრიორიტეტი ნიშნავს საკითხის სიმწვავიდან გამომდინარე უპირატესობის მინიჭებას.

ქალბატონო ინგა, გამოდის, რომ არ მისმენდით, ვერ გაიგეთ მე რაზე ვსაუბრობდი. გნებავთ თავიდან დავიწყებ ჩემს კომენტარს და ასე პაექრობაში გავატაროთ მთელი სხდომა? დამასრულებინეთ, ნუ მაწყვეტინებთ და ბოლოს გაკეთეთ შეფასება. მე არ მითქვამს რომ კონკრეტულად რომელიმე სოფელია პრიორიტეტი, მე ვთქვი რომ ზოგადად ხიდ ბოგირებზე ორინტირის გადატანაა მისასალმებელითქო.

ხომ შეიძლება ერთიდა იგივეზე არ მიწევდეს საუბარი ყველა სხდომაზე. სწორად შევაფასებ თუ არასწორად საკითხს ეს ჩემი უფლებაა. ხშირად მესმის სხდომებზე, „მოვთოკოთ ემოციები“, „დავიოკოთ ამბიციები“, „დავწყნარდეთ“, „ნუ ვკამათობთ“. ჩვენ ვართ წარმომადგენლობითი ორგანო, იგვე ხდება პარლამენტშიც. სწორედაც რომ უნდა ვიმსჯელოთ, ვიკამათოთ, დავაფიქსიროთ განსხვავებული პოზიციები. კამათში იბადება ჭეშმარიტება. ხანდახან თუ ემოცია მოგვეზღვავება, ნუ გიკვირთ, ეს არის ჯანსაღი და თავისუფალი პროცესი. ჩვენ ვაშენებთ დემოკრატიულ სახელმწიფოს.

რაც შეეხება საკითხს მინდა მადლობა გადავუხადო აღმასრულებელ ხელისუფლებასბაზალეთში ხიდის გასაკეთებლად 10 ათასი ლარის გამოყოფის თაობაზე.“

საკადრო ცვლილებები მუნიციპალიტეტის გამგეობაში

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის, კახაბერ გოლუბიანის ინფორმაციით, საკადრო კუთხით გამგეობის სამსახურებში ცვლილებაა და დროებით მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნენ:

ზურაბ კვინიკაძე – ადმინისტრაციული სამსახურის წარმომადგენლების კოორდინაციის განყოფილების მთავარი სპეციალისტი წარმომადგენლებთან კოორდინირების საკითხებში;

თამაზ სახვაძე – სამხედრო აღრიცხვისა და განვევის სამსახურის სპეციალისტი სამხედრო განვევის საკითხებში;

რუსუდან გურგენიძე – სამხედრო აღრიცხვისა და განვევის სამსახურის სპეციალისტი პირველადი აღრიცხვის საკითხებში.

ხათუნა ტაბატაძე – გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის სპეციალისტი ახალგაზრდულ საკითხებში;

ნინო ხარაძე – გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი სპეციალისტი სპორტის საკითხებში;

შმაგი ხიჯაკაძე – ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი სპეციალისტი კეთილმოწყობისა და ტერიტორიის დასუფთავების საკითხებში;

თენგიზ ჭიპაშვილი – გამგებლის წარმომადგენელი ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში;

თამაზ ჭიპაშვილი – ადმინისტრაციული სამსახურის წარმომადგენლების კოორდინაციის განყოფილების უფროსი სპეციალისტი ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში;

ზალიკო ლურსმანაშვილი – ადმინისტრაციული სამსახურის წარმომადგენლების კოორდინაციის განყოფილების უფროსი სპეციალისტი კიცხის ადმინისტრაციულ ერთეულში;

გელა მაღრაძე – ადმინისტრაციული სამსახურის წარმომადგენლების კოორდინაციის განყოფილების უფროსი სპეციალისტი ლეღვნის ადმინისტრაციულ ერთეულში;

მამუკა არევაძე – ადმინისტრაციული სამსახურის წარმომადგენლების კოორდინაციის განყოფილების უფროსი სპეციალისტი ვახანის ადმინისტრაციულ ერთეულში;

ნანა ჩხიკვაძე – ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების წამყვანი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში;

შორენა ჭყოიძე – ადმინისტრაციული სამსახურის წარმომადგენლების კოორდინაციის განყოფილების უფროსი სპეციალისტი მოლითის ადმინისტრაციულ ერთეულში;

ნუგზარ ტაბატაძე – ადმინისტრაციული სამსახურის წარმომადგენლების კოორდინაციის განყოფილების უფროსი სპეციალისტი ხევის ადმინისტრაციულ ერთეულში.

დავით ლომიძე – ადმინისტრაციული სამსახურის წარმომადგენლების კოორდინაციის განყოფილების უფროსი სპეციალისტი ხუნევის ადმინისტრაციულ ერთეულში;

კახაბერ ლომიძე – გამგებლის წარმომადგენელი ხუნევის ადმინისტრაციულ ერთეულში;

,,სოფლის მხარდამჭერი პროგრამის“ ფარგლებში შეხვედრები მიმდინარეობს

სოფელ ხიდრის მოსახლეობისთის პრიორიტეტი სარიტუალო დარბაზის აშენებაა

გასულ კვირას სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში არაერთ სოფელში მოეწყო შეხვედრები. ესენი იყო ხევი, ხიდარი, საღანძილის ადმინისტრაციული ერთეული, ვერტყვიჭალა, ჯაფაროული. ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა მუნიციპალიტეტის ხელმძღვნელ პირებთან ერთად განიხილეს და შემდგომ გამოავლინეს პრიორიტეტული პროექტები. 2015 წელს „სოფლის მხარდამჭერი პროგრამის“ ფარგლებში ხიდარს -22 000 ლარი, ხევის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ წაქვას - 8 000, ხოლო გრიგალათს - 10 000 ლარი გამოეყო. ჩხერში ამ თანხამ 7 000 ლარი შეადგინა, საღანძილეს - 8 000, ხოლო ვერტყვიჭალას - 10 000 ლარი გამოიყო.

სოფელ ხიდრის მოსახლეობამ აღნიშნული თანხა სურვილისამებრ განკარგა და იგი სარიტუალო დარბაზის მშენებლობის დასრულებას მოხმარდება. მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა ხიდრის მოსახლეობას აღუთქვა, რომ უახლოეს მომავალში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებით გამოყოფს მათთვის 5-იდან 10 ათას ლარამდე თანხას, რომელიც მოსახლეობის გადაწყვეტილებით პრიორიტეტულ პროექტზე გაიხარჯება. „ჩვენი სურვილია, ყველა სოფელში შეიქმნას ცხოვრებისათვის საჭირო პირობები. ხიდარში ამ კუთხით არაერთი აქტივობაა დაწყებული. მიმდინარე წელს დასრულდება კიცხი-ხიდარის გზის მონაკვეთის მოასფალტება, ასევე უახლოეს მომავალში გაიხსნება სკოლამდელი დაწესებულება, შენობა უკვე აგებულია, საჭირო ინვენტარიც შეძენილია, მხოლოდ ეზოს კეთილმოწყობა დარჩა და ხიდარს ახალი საბავშო ბაღი ექნება.

გამგებელი, შეკრებილ საზოგადოებას ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებზეც ესაუბრა. მისივე განცახადებით სოციალური მიმართულებით, მიმდინარე წელს, ხარაგაულის ბიუჯეტში მილიონ ლარამდეა გათვალისწინებული, რომლის საშუალებითაც სოციალურად გაჭირვებული მოქალქეებისათვის გაიცემა სხვადასხვა სახის დახმარებები: (ოპერაციების დასაფინანსებლად, მიწისძვრით ან სტიქიით დაზარალებული ოჯახების დასახმარებლად და ა.შ.)

კობა ლურსმნაშვილის თქმით, სოფლის გაძლიერება მნიშვნელოვანი პირობაა ქვეყნისათვის, ამიტომ სოფლებში სხვადსხვა სახის მეურნეობების განვითრების მიზნით არსებობს სახელმწიფო პროგრამები. ერთ-ერთი ასეთი პროგრამის ფარგლებში ხარაგაულში რძის საწარმოს მშენებლობა დაფინანსდა. შეხვედრის დასასრულს გამგებელმა აღნიშნ: „სოფლის მოსახლეობა არაერთი პრობლემის წინაშე დგას და მათი ერთიანად მოგავრება რთულია. მთავრობის ინიციატივაა ვიყოთ ორიენტირებულები სოფლის გაძლიერებაზე. კურსი რომელიც ჩვენს გუნდს აქვს აღებული გვაძლევს იმის საშუალებას, ეტაპობრივად მივაქციოთ ყურადღება ყველა პრობლემას. დარწმუნებული ვარ ყველაფერუ მოგვარდება თუ ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის საქმიანი და ურთიერთთანამშრომლობის კეთილი დამოკიდებულება იქნება“. გამგებელმა მადლობა გადაუხადა შეკრებილ საზოგადოებას, ასევე ხიდრის დეპუტატს ნონა ზურაბიანს და წარმომადგენელს ბადრი ბერაძეს, რომლებიც სოფლის სამსახურში დგანან და მის კეთილდღეობაზე ზრუნავენ .

ხევის მოსახლეობა და აღმასრულებელი

ხელისუფლება ვერ შეთანხმდნენ

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ხევის ადმინისტრაციულ ერთეულში, ისევე როგორც ხიდარში მოსახლეობას სურს, გასულ წელს დაწყებული სარიტუალო დარბაზის მშენებლობა დაასრულოს. სოფელში შეხვედრაზე ბატონმა კობამ განაცხადა: „კარგი იქნებოდა თუ გამოყოფილი თანხით იქ უკვე არსებულ საბავშვო ბაღს გავაფრთოვებდით და მშენებარე სარიტუალო დარბაზის შენობაში განვათავსებდით, მითუმეტეს როცა სოფელს უკვე აქვს ერთი კეთილმოწყობილი ასეთი სახის დარბაზი. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება კი ძალიან მძიმე მდგომარეობაშია, არ ყოფნით ადგილები, არ აქვთ ეზო და ფაქტიურად ბავშვების მიღებაზე უარს ამბობენ“. მიუხედავად ამისა, მოსახლეობა და აღმასრულებელ ხელისუფლება ამ საკითხზე ვერ შეთანხმდნენ. საბოლოოდ დადგინდა, რომ მათთვის გამოყოფილი თანხა სარიტუალო სახლის მშენებლობის დასრულებას მოხმარდება.

საღანძილეში გამოყოფილი თანხით სასმელი წყლის პრობლემა მოგვარდება

საღანძილის ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობასთან შეხვედრა გამართა გამგებელმა კობა ლურსმანაშვილმა, დეპუტატმა დავით კიკნაძემ და რწმუნებულმა კობა ყრუაშვილმა. ბატონმა კობამ, გეგმისამებრ, გასულ წლებში განეული სამუშოების ანგარიში წარუდგინა მოსახლეობას, ისაუბრა განხორციელებულ და განსახორციელებელ პროექტებზე. შეხვედრაზე იმსჯელეს და გამოკვეთეს სოფლისთვის პრიორიტეტული პროექტები რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტდან 8 000 ათასი ლარია გამოყოფილი. კერძოდ ბატონი დავით კიკნაძის განმარტებით ამ ეტაპზე მწვავედ დგას სოფელში წყლის პრობლემა, კარგი იქნება თუ თანხის ნაწილი ამ პრობლემის აღმოფხვრას მოხმარდება. მოსახლეობამ ერთხმად მისცა დადებითი შეფასება ამ წინადადებას, ხოლო დარჩენილი თანხით იჩქიტიძეების უბანში სასაფლაოს შემორაგვა ითხოვეს. აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულება გამოხატა სოფლის მკვიდრმა ლენა კიკნაძემ: „მინდა პირადად გადავუხადო მადლობა ბატონ კობას და დავით კიკნაძეს, ისინი ისეთ დროს დამიდგნენ გვერდით, აღმომიჩინეს დახმარება და დამიფინანსეს ოპერაცია, როცა ეს ყველაზე მეტად მჭირდებოდა. ბატონი დავითი თავად აგვარებდა საკითხებს დასაფინანსებელი თანხის გადმორიცხვასთან დაკავშირებით. ამის არ დანახვა არ შეიძლება, ბევრ კეთილ საქმეს აკეთებენ. მინდა მადლობა გადავუხადო სოფლის სახელითაც. გასულ წელს გზა გაგვიკეთეს, მოსახლეობისთვის შეიძინეს წყლის მილები. ვლოცავ მათ და სიტყვები არ მყოფნის მადლობის გამოსახატად“.

ჯაფარაულში საუბნო გზები შეკეთდება

პროგრამის ფარგლებში სოფელ ჯაფარაულის მოსახლეობას გამგებლის წამომადგენელი საღანძილის ადმინისტრაციულ ერთეულში კობა ყრუაშვილი, ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი მალხაზ ფხალაძე და გამგებლის წარმომადგენელი დაბის ტერიტორიულ ერთეულში პაატა ფცქიალაძე შეხვდნენ. სოფელში ძალიან მძიმე მდგომარეობაშია საუბნო გზები, ფატიურად იგი გამოუყენებადია. ამიტომ ხმათა უმრავლესობით ჯაფარაულში პრიორიტეტად საუბნო გზების შეკეთება დასახელდა. გამოყოფილი 6 000 ლარი ამ პროექტის განხორციელებას მოხმარდება.

10 000 ლარი ვერტყვილას

ხუნევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ვერტყვილაში შეხვედრა საკრებულოს თავმჯდომარემ, ინგა მაღრაძემ, გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა, მალხაზ ფხალაძემ, წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილების უფროსმა, გია ჭიპაშვილმა, ხუნევის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელმა, კახა ლომიძემ და დეპუტატმა ლენა აბაშიძემ გამართეს. ვერტყვილაში პროგრამის ფარგლებში - 10 000 ლარია გამოყოფილი. მოსახლეობის სურვილია ამ თანხით უკვე აშენებული სარიტუალო დარბაზი მოაპირკეთონ და მისთვის საჭირო ინვენტარი შეიძინონ, ხოლო დარჩენილი თანხით სოფლის გზა შეაკეთონ.

ბიუროს სხდომაზე აღგილობრივი მოსაკრებლების შემოღების და უძრავი ქონების საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ იმსჯელეს

16 მარტს გამართულ ბიუროს სხდომაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების და უძრავი ქონების საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ მოხსენება როინ გელაშვილმა გააკეთა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ინგა მაღრაძემ ადგილობრივი მოსაკრებლების საკითხის შესწავლა უშუალოდ საფინანსო-საბიუჯეტო და იურიდიულ კომისიებს დაავალა.

რაც შეეხება ინვენტარიზაციას, ბიუროს სხდომაზე ჯერ მხოლოდ ობიექტთა ნუსხა იყო წარმოდგენილი. მსჯელობის და შენიშვნების შემდეგ საკითხი უფრო ვრცლად 6 აპრილის საკრებულოს სხდომაზე განიხილება.

მანანა ბარბაქაძემ აღნიშნა რომ ინვენტარიზაციის თემას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ძალიან ბევრ სოფელშია ტრაქტორები, გუთნები სხვადასხვა მოძველებული ტექნიკა, რომელიც შეიძლება ჯართად ჩავაბაროთ და დამატებითი თანხები შემოვიდეს ბიუჯეტში.

ქალბატონმა ინგა მაღრაძემ თხოვნით მიმართა ყველა კომისიას, მაქსიმალურად ჩაერთონ ამ საკითხის შესწავლაში. ეს ცოტა ფრთხილი და კარგად შესასწავლი თემაა და ამიტომ აჩქარება არ მოგვცემს კარგ შედეგს.

საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარემ განცხადება გააკეთა ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებაზე: „უკვე დიდი ხანია, ჩვენი ოპონენტების მიერ, თითქმის ყველა სხდომაზე ეს ყბადაღებული თემაა. მინდა გითხრათ, ბატონებო, რომ ჩვენ საფინანსო სამსახურთან ერთად უკვე გავიარეთ ეს საკითხი. მივიღეთ გადაწყვეტილება სად შეიძლება შევამციროთ ადმინისტრაციული ხარჯები. ეს შეეხო საკრებულოში მიმდინარე სარემონტო სამუშოებს, კომუნიკაციებს, სატრანსპორტო ხარჯებს. განსაკუთრებულ კონტროლს გაუწევს საკრებულო აღმასრულებელ რგოლებში თანხების ეფექტურად განაწილებას, ა (ა)იპ–ებში მიმდინარე ხარჯებს და ა.შ. ყოველივე ამას, კი განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიამ.

ვულოცავთ გაზეთ „ახალი ხარაგაულის რედაქტორს, ქალბატონ **ეკა შავიძეს**, დაბადების დღეს; ვუსურვებთ სიკეთისა და სამართლინობის გზებზე ჩვეული შემართებით სვლას. დაე ყოველ ახალ დღეს მისთვის მოეტანოს ულევი სიხარული, წარმატება...

გაზეთ „ახალი ხარაგაულის“ რედაქცია

,, ეს არა მარტო ჩემი, არამედ მთელი ხარაგაულის წარმატებაა,,

ხარაგაული მდიდარია ისტორიულ-კულტურული ფასეულობებით. აქ შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული მრავალი ადამიანი აღიზარდა და მათ, ჩვენი რაიონი, კულტურისა და ხელოვნების დარგში არაერთხელ ასახელეს. ხარაგაულში ქორეოგრაფიული ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელია ანსაბლი „უბისი„(ქორეოგრაფები: ზაზა და ელისო ლურსმანაშვილები). ანსამბლი უკვე 17 წლისაა და მთელი ამ ხნის განმავლობაში მათ არაერთ წარმატებას მიაღწიეს. მიმდინარე წლის 14 მარტს „უბისმა“ ფესტივალ „ქართული ცეკვის სადიდებელი ერთაინი საქართველოსათვის მებრძოლ გმირებში“ მიიღო მო-

ნაწილეობა. ფესტივალზე ქართული ქორეოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა ანსამბლი დიპლომით დაჯილდოვა, ხოლო მის ხელმძღვანელს ზაზა ლურსმანაშვილს საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითმა კავშირმა „საქართველოს ქორეოგრაფიის ამაგდარის ორდენი გადასცა.

„ასეთ საპატიო ჯილდოს ნამდვილად არ მოველოდი- გვიამბობს ზაზა ლურსმანაშვილი. ეს არა მარტო ჩემი, არამედ მთელი ხარაგაულის წარმატებაა. ვფიქრობ, ჩემმა 17 წლიანმა შრომამ შედეგი გამოიღო. უზომოდ ვარ გახარებული. დიდება უფალს, რამეთუ მის გარეშე არაფერი ხდება. არა ერთ ღონისძიებაში გვაქვს მონაწილეობა მიღებული და უმეტეს შემთხვევაში წარმატებულები ვბრუნდებოდით შინ. ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრი მუდამ თვალყურს ადევნებს „უბისის“ ყველა გადადგმულ ნაბიჯს, იცის ჩვენი წარმატებების შესახებ და სწორედ ეს გახდა მიზეზი ასეთი საპატიო ჯილდო მოენიჭებინათ ჩემთვის. მადლობა მათ ასეთი ნდობისათვის. არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ ორდენი მარტო მე არ მეკუთვნის, იგი ყველა იმ ბავშვის და მშობლისაა, რომლებიც 17 წლის განმავლობაში გვერდით უდგანან „უბისს“ და ანსაბლის წარმატებისათვის ძალ-ღონეს არ იშურებენ. მადლობა მინდა გადავუხადო კულტურის ცენტრის ხელმძღვანელს, ბატონ ვასილ კიკნაძეს, ცენტრის თანამშრომლებს, მუნიციპალიტეტის გამგეობას და ყველა იმ ადამიანს, ვისაც ანსამბლის წარმატებაში წვლილი მიუძღვის.

ვასილ კინკაძე (კულტურის ცენტრის დირექტორი): „ზაზამ და ელისომ ფაქტიურად ყველაფერი ნულიდან დაიწყეს და დღეს უკვე საკმაოდ წარმატებულები არიან. ეს ძალიან სასიხარულო და სასიამოვნოა ჩემთვის. თავდაპირველად ზაზა ხარაგაულის სოფლებში ასწავლიდა ცეკვას, ხოლო როცა ამაგდარმა ქორეოგრაფმა ლევან ლურსმანაშვილმა 80 წლის იუბილე გადაიხადა, დაიბარა ზაზა და ხარაგაულის ქორეოგრაფიის მართვის სადავეები პირადად გადასცა. აქედან დაიწყო ზაზას და ელისოს მოღვაწეობა. მათ დიდი შრომა გაწიეს, ყველაფერი გააკეთეს ანსამბლის წარმატებისთვის. სწორედ მათი 17-წლიანი შრომის გვირგვინია ჯილდო რომელიც ცოტა ხნის წინ. კულტურის ცენტრი კოლექტივთან ერთად ულოცავს ზაზას და ელისოს ამ მიღწევებს და მომავალშიც წარმატებებს ვუსურვებთ.

ირინე ჩხეიძე (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური უფროსი): 17 წელია რაც ზაზა და ელისო ლურსმანაშვილები ხარაგაულს ქორეოგრაფიული კუთხით წარმოაჩენენ. მათ ჩვენს მაყურებელს არაერთი ლამაზი საღამო აჩუქეს. აღზარდეს რამდენიმე თაობა და მათი დამასახურებაა, რომ დღეს ხარაგაულელი ბავშვების აბსოლიტური უმრავლესობა ქორეოგრაფიულ ხელოვნებას სიამოვნებით ეზიარება. მადლობა მათ, რომ ხარაგაულის ქორეოგრაფიულ ტრადიციებს ასე შესანიშნავად აგრძელებენ. ძალინ გამახარა ზაზას წარმატებამ, ამ ჯილდოს იგი ნამდვილად იმსახურებდა. ვულოცავ კიდევ ერთხელ და დიდ შემოქმედებით წინსვლას ვსურვებ.

ეკა შავიძე

ხარაგაულში ახალგაზრდული საკრებულო ჩამოყალიბდება

არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანი კანონი თავისუფლება“ პროექტის, „ახალგაზრდული თვითმმართველობის ინიციატივა 2015“, ფარგლებში საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში „ახალგაზრდულ საკრებულოს“ აყალიბებს.

16 მარტს ხარაგაულის კინოთეატრში აღნიშნული პროექტის ფარგლებში სტუმრად იმყოფებოდნენ: არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანი კანონი თავისუფლება“ (თავმჯდომარე გიორგი ჭულუხაძე), პროექტის ხელმძღვანელი დასავლეთ საქართველოში, გიორგი მღვდელაძე და კოორდინატორი ზემო იმერეთში სოფიო სხილაძე. ა/ო წარმომადგენლებმა, ხარაგაულის ოცი საჯარო სკოლიდან წარმოდგენილ იმ XI – XII კლასის მოსწავლეებს, რომლებსაც მაღალი აკედემიური მოსწრება აქვთ, „ახალგაზრდული თვითმმართველობა 2015“ პრეზენტაცია წარუდგინეს.

მათი თქმით – ქვეყნის მასშტაბით არსებულ 64 მუნიციპალიტეტში ჩამოყალიბებულ „ახალგაზრდულ საკრებულოებში,“ პროექტის ფარგლებში შეირჩევა იმავე რაოდენობის ახალგაზრდები რამდენი წევრიცაა 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნების შედეგად ამა თუ იმ საკრებულოში. აქედან გამომდინარე, ხარაგაულის „ახლგაზრდული საკრებულო“ 35 წევრით იქნება დაკომპლექტებული, შერჩეულ ახალგაზრდებს შორის მოხდება „ახალგაზრდა საკრებულოს“ თავმჯდომარის არჩევა და საკრებულოს თემატური კომისიების ჩამოყალიბება. პროექტის ფარგლებში შეიქმნება სპეციალური ინტერნეტ პორტალი, რომელიც გააერთიანებს ახალგაზრდული საკრებულოების 2105 წევრს, სადაც განთავსდება თითოეული წევრის ინიციატივების და საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაციები. ასევე, ყველა მუნიციპალიტეტის „ახალგაზრდული საკრებულოსთვის“ უკვე არსებობს 64 Facebook გვერდი. ახალგაზრდა დეპუტატებს ექნებათ საშუალება დაესწრონ საკრებულოს სხდომებს და დისკუსიაშიც მიიღონ მონაწილეობა. ტესტირების შედეგად შერჩეული ახალგაზრდები გაივლიან ტრენინგს: არჩევნების და მისი მნიშვნელობის, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, ქვეყნის სახელმწიფო მოწყობის, ევროპასთან ინტეგრაციის პროცესის, ლიდერობის, მედიასთან ურთიერთობის, დიპლომატიური ურთიერთობებისა და კავკასიოლოგიის შესახებ. ღია ლექციებს ჩაატარებენ ქვეყნის წამყვანი სპეციალისტები, ექსპერტები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და წარმატებული ახალგაზრდები. შერჩეული ბავშვები, მიიღებენ მონაწილეობას ექსკურსიებში, საგანმანათლებლო პროგრამებსა და სხვა ღონისძიებებში.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანი კანონი თავისუფლების“ თავმჯდომარემ გიორგი ჭულუხაძემ აღნიშნა, რომ – „ა/ო–ის პროექტი „ახალგაზრდული თვითმმართველობის ინიციატივა 2015,“ რომელიც ითვალისწინებს „ახალგაზრდული საკრებულოს“ შექმნას მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის, რადგან თითოეული მათგანი იქნება ჩართული ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულში განხორციელებულ სხვადასხვა ღონისძიებაში. ორგანიზაცია ახალგაზრდა დეპუტატებს მაქსიმალურად დაეხმარება თავიანთი იდეების განხორციელებაში. ჩამოყალიბდებიან ახალგაზრდა ლიდერებად და გაიღრმავებენ ცოდნას ამა თუ იმ საკითხებში. უნდა ვიზრუნოთ, რომ ამ ახალგაზრდებმა თავისუფლად იაზროვნონ. გვაქვს გასვლითი ღონისძიებები და პროგრამები, სადაც ახლგაზრდა დეპუტატები მიიღებენ მონაწილეობას, ეს მათთვის მეტად ნაყოფიერი პროცესი იქნება. გარდა ამისა, თვითმმართველობის კონტროლის კუთხით, მათ შეიძლება ადგილობრივ თვითმმართველობაში არსებულ ბევრ პრობლემურ საკითხზე ქონდეთ წვდომა, რომელიც თუნდაც რეკომენდაციების სახით შეიძლება წარუდგინონ მუნიციპალიტეტის საკრებულოს. იმედი მაქვს, ყველა ის რეკომენდაცია თუ პროექტი, რომელსაც ახალგაზრდები წარადგენენ ე.წ. დიდ საკრებულოში მაქსიმალურად იქნება გაზიარებული. აქტიურად ვთანამშრომლობთ საგანმანათლებლო რესურსცენტრებთან. მათი დახმარებით შეირჩა საუკეთესო აკადემიური მოსწრების ახალგაზრდები. დღეს აქ წარმოდგენილია 80 – მდე ახალგაზრდა, რომელთაგანაც საუკეთესოები შეირჩევა. ჩაუტარდებათ ტესტირება და შედეგებიდან გამომდინარე ჩამოყალიბდება „ახალგაზრდული საკრებულო“ . ვფიქრობ, ისინი დიდ წვლილს შეიტანენ რაიონისა და ქვეყნის განვითარებაში. ტესტებით გვაინტერესებს ახალგაზრდები, როგორ აზროვნებენ, რას ფიქრობენ მიმდინარე საკითხებზე და ა.შ. იმისათვის, რომ ქვეყანაში გვყავდეს კვალიფიციური კადრები, ეს პროექტი მათთვის შესანიშნავი იქნება.„

დავით კიკნაძე – ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი:

„ჩემთვის ორმაგად საინტერესოა აღნიშნული პროექტი, რადგან ვარ მაჟორიტარი დეპუტატი. საინტერესო იქნება ის იდეები, რაც ექნებათ მოსწავლეებს ჩამოყალიბებული კულტურულ, ხელოვნებისა თუ საგანმანათლებლო სისტემაში. მნიშვნელოვანია რას ფიქრობენ ეს ახალგაზრდები, როგორ აზროვნებენ. ა/ო „ადამიანი კანონი თავისუფლება“ ხელს შეუწყობს ნორჩი დეპუტატების ლიდერებად ჩამოყალიბებას.„

თამარ მაღრაძე

მიმდინარე წელს ,,სკოლბურთი“ ორ სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში ჩატარდება

ხარაგაულის საგანმანათლეობლო რესურსცენტრის უფროსის დავით კიკნაძის განცხადებით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მჭიდრო თანამშრომლობით, ქვეყნის მასშტაბით, 2006 წლიდან ტარდება საქართველოს მოსწავლეთა პირველობა ფეხბურთში. ტურნირი მიზნად ისახავს ფეხბურთის, როგორც სპორტის სახეობის ახალგაზრდა თობაში პოპულარიცაზიას. 2015 წელს ,,სკოლბურთი“ ორ სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში ჩატარდება. დაგეგმილია 2002 წელს ან უფრო გვიან დაბადებულ ჭაბუკებს შორის და 2000 წელს ან შემდგომ დაბადებულ გოგონათა შორის გათამაშების ჩატარება.

,,ინტელექტის დღე“ იწყება

ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის, დავით კიკნაძის ინფორმაციით საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და საქართველოს ინტელექტ-კლუბი ,,რა? სად? როდის?“ ერთობლივ პროექტს ახორციელებენ სახელწოდებით ,,ინტელექტის დღე“. პროექტში მონაწილეობა საქარველოს ნებისმიერი ზოგადსაგანმანათლობლო სკოლის გუნდებს შეუძლია. სკოლიდან დარეგისტრირების უფლება აქვს მხოლოდ ერთ გუნდს. პროექტის ფარგლებში, 18 აპრილს, საქართველოს მასშტაბით ყველა მუნიციპალურ ცენტრში გაიმართება სასკოლო შეჯიბრი, ინტელექტუალური თამაში ,,რა? სად? როდის?“. შეჯიბრის პირველ ეტაპზე მუნიციპალიტეტის საუკეთესო სკოლები ერთმანეთს, მაისის დასაწყისში, თბილისში დაუპირისპირდებიან. სამი საუკეთესო გუნდის ყველა ძირითადი მოთამაშე წამახალისებელ პრიზებსა და დიპლომებს მიიღებს.

განკარგულება # საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის"

24–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.დ" ქვეპუნქტის შესაბამისად

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი. დამტკიცდეს გამგებლის მიერ წარმოდგენილი საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა (თან ერთვის).

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180-ე მუხლით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე
ინგა მაღრაძე

გვენანები, ძალიან გვენანები!..

შენი გვარ-სახელით იწყებოდა საკლასო ჟურნალში სია იმ კლასისა, რომლის დამრიგებელიც

წლების განმავლობაში ვიყავი... იქნებ იმიტომაც, რომ სწორედ სიკეთისა და პირველობისათვის იყავი გაჩენილი ნიჭიერი, გულმართალი, უღალატო, უერთგულესი ყმანვილი. ყველას ფასი იცოდი, მხოლოდ საკუთარი თავისა – არა!

35 წელი! რა მოკლეა ეს დრო, თუმც შეგეძლო, დაპირისპირებოდი ბედისწერის იმ შავ წიგნს, რომელშიც შენთვის დროის ასეთი მცირე მონაკვეთი იყო განსაზღვრული მზიან სამყაროში; დაპირისპირებოდი და ბევრი სიკეთე – სიხარული გეჩუქებინა საკუთარი თავისთვის, დედისთვის, შენზე მლოცველი დებისა და მამიდებისთვის...

მიმიხვდები, ჩემო რეზო, რაც მტკივა, რაც მისერავს გულს... სხივანთებული თვალებით შემხვდებოდი ქუჩაში და მზად იყავი, მორჩილად მოგესმინა ჩემი მორიგი საყვედური, მორიგი „შეჩვენება“...

შეგახსენებდი შენს კლასელებს: ნინოს, თამარს, კოტეს, ჯაბას, ნათიას, თეას, შავლეგს, ზვიადს, კობას, დოდოს... შეგახსენებდი, როგორ ღაღანებდნენ ცოლ – შვილში, ქმარ – შვილში...

დიდი სიყვარული დაავანე მეგობრების, თანამშრომლების, მეზობლების, ახლობლების გულებში...

მაგრამ, რა იქნებოდა, რომ შენი ეზო – კარიც დაეფარა შვილების ჟღურტულს, ანცობას. რა დიდი მოლოდინით ელოდნენ ოჯახის წევრები ნანატრ რძალს; არაფერს იშურებდნენ, რომ შენი ლამაზი სულის შესატყვისად აეყვავებინათ შენი მშობელი კერა. შენ კი ყველაფერზე უარი თქვი და მამას უერთგულე, მარადიულ სამყაროს მიაშურე...

გვწამს, ზეციური მადლი გაუძღვება რეზო ბაბლიძეს სამოთხისაკენ და იქ მოასწრებს ყველაფერ იმას, რაც აქ ვერ მოასწრო...

ჩემს წუხილს ერწყმის შენი თანაკლასელების გმინვა: გვენანები, ძალიან გვენანები, ჩვენო რეზო!..

გამომცემელი
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
გაზეთი ა(ა)იპ „ახალი ხარაგაული“.
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 10 25;

რედაქტორი: ეკა შავიძე
ტელ.: 595 51 98 12
სარედაქციო კოლეგია:
თეა ბერიძე
თამარ მაღრაძე

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს უკან არ უბრუნდებათ. გაზეთში დაბეჭდილი მასალებისა და სურათების მთლიანი ან ნაწილობრივი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ რედაქციის თანხმობით. გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.